№ 202
ხუთშაბათი, 21 სექტემბერი 1895

გაზეთი ღირს:

თ.ე	მან.	კ.	თვ.	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	70
9	8	—	3	3	55
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877—1895

ივერია

№ 202
ხუთშაბათი, 21 სექტემბერი 1895

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—
16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

21 ენკენისთვეს სოფ. კავთის-ხევში გარდახდილ იქმნება წლიური პანაშვიდი **მიხეილ ზექარიას ძის კანდელაკის** სულის მოსახსენებლად.

გამოვიდა და ისყიდება
«მოსე ხონელი და მისი ამირან დარეჯანიანი»
წერილი მ. ჯანაშვილისა.
(60 გვ.. ფასი 10 კაპ.)

წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის გამგეობა ამით აცხადებს, რომ 25 სექტემბერს, საღამოს 7 საათზედ, დანიშნულია **ამხანაგობის საზოგადო კრება** განსახილველად შემდეგის საგნებისა:

1. ანგარიში „ქართველთა ამხანაგობის“ მოქმედებისა 1894 წელსა.
2. მოხსენება სარევიზიო კომისიისა 1894 წ. ანგარიშის შესახებ.
3. სავარაუდო ანგარიში (სმეტა) შემოსავლისა და გასავლისა 1895 წ.

კრება იქნება სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში.

კრებაზედ დასწრება შეუძლიანთ მხოლოდ წევრთ.

სურათები

მეფე ერეკლე მეორისა, შოთა რუსთაველისა, ილია ჭავჭავაძისა, რაფაელ ერისთავისა და ეგნატე ნინოშვილისა

ისყიდებიან:

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“ და წიგნების გამომცემელ ამხანაგობის მაღაზიებში და გიორგი დემუროვის ლიტოგრაფიაში, განოვსკის ქუჩაზედ.

ფასები:

კარდონზე: მეფე ერეკლესი, ილია ჭავჭავაძისა და რაფაელ ერისთავის სურათები ექვს-ექვსი შაურია, შოთა რუსთაველისა და ეგნატე ნინოშვილისა ხუთ-ხუთი შაური. ილია ჭავჭავძის სურათი თხელ ქაღალდზე ღირს ხუთი შაური. ნინოშვილისა—სამი შაური, რუსთაველისა, ერისთავისა და ერეკლეს სურათები თითო აბაზი.

ივანე ბოძაშვილისა და გიორგი ქუმსიაშვილის მოთავეობით
ისყიდება
წმინდა მატყლი
ფშაველებისა და თუშებისა. მატყლის საწყობი იმყოფება ავჭალის ქუჩაზედ, ივანე კაზაკოვის შენობაში, № 93. (5—1869—2).

ექიმი
ი. ს. ელიაშვილი
გადავიდა ნიკოლოზის ქუჩაზედ, პოპოვის სახლებში, № 29, სასტუმრო „იტალიის“ პირდაპირ. ავადმყოფებს მიიღებს კვლავინდებურად.
(10—5).

ახალი ამბავი

⁂ ცნობილი არტისტი ალექსი-მესხიშვილი გუშინ-წინ ჩამოვიდა ტფილისში ხარკოვიდამ. ხმა მესხიშვილს შესამჩნევად გაჰკარგებია და იმედია წელს ბევრს გვასიამოვნებს მისი თამაშობა.

⁂ როგორც ისმის, ართვინში მემკვიდრე ცესარევიჩს შეუძენია ადგილი, რომელზედაც სასახლეს ააშენებენ («ტფ. ფურც.»).

⁂ ამავე გაზეთის სიტყვით არდაგანში დიდი თოვლი მოსულა და ძლიერ აციებულა.

⁂ გაზ. „ნოვ. ობოზ“-ეს განჯიდამ დეპეშით ატყობინებენ, რომ განჯაში სამხედრო წესით გაასამართლეს ხუთი იქაური მცხოვრებელი მაჰმადიანი, რომელთაც ძარცვა და ყაჩაღობა ჰბრალდებოდათ. ხუთსავეს ჩამორჩობა გარდაუწყვიტესო.

⁂ ამავე გაზეთს პეტერბურგიდამ ატყობინებენ, რომ განზრახვაა ნავთის რეზერვუარები-დასაწყობები ბათუმიდამ ფოთში გადაიტანონ, რადგანაც სამხედრო მინისტრს უბრძანებია გააშორონ მიხეილის ციხეს ზემოხსენებული დაწესებულებანი იმ აზრით, რომ ვინცობაა ცეცხლი გაჩნდეს, ციხეს არა ევნოს-რა.

⁂ ბატონს რატილს განზრახვა აქვს, შეადგინოს ქართველ მომღერალთა რიგიანი გუნდი: ამ გუნდს უნდა გაეწიოს დიდი მფარველობა და ხელმძღვანელობა, რომ ამით მომღერალნი ჩინებულად გამოიწურთნან და მოემზადნენ საგალობლათ. მომზადებისა და განვითარების შემდეგ ბ. რატილი გაემგზავრება რუსეთის სხვა-და-სხვა ქალაქებში კონცერტების გასამართავად და აგრეთვე დაესწრება სრულიად რუსეთის მაკარიის გამოფენას, რისთვისაც მან მიწვევა უკვე წინად მიიღო. ამიტომ ბ. რატილი გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ მას ჰსურს მოიპოვოს ქართველთა მომღერალნი, რომელნიც სულითა და გულით მიეცემიან საქმეს და გამოიწურთნებიან აგრეთვე და მით საკმარისს სამსახურს აღმოუჩენენ ქართულ სიმღერების აღორძინებას.

⁂ ჯავის ხეობა:—კვლავ ცხვარი და საქონელი თითქმის ოქტომბრის პირველ რიცხვებამდე გაგვიჩერებია მთაში, როგორც ჩვენ, აგრეთვე ბარის ცხვრის პატრონთ, მაგრამ წელს-კი ბუნებამ ენკენისთვის პირველამდისაც-კი აღარ დაგვაცალა. მარიამობისთვის 30 ღამით მთების კალთები სულ ერთიანად დათოვლა და იძულებული გვყო ავშლილიყავით ჩვენის ცხვარ-საქონლით.

⁂ თელავი: თუ არ „ტიფლ. „ლისტ“ ის თელაველი კორესპონდენტი, რომელიც ხშირად უცნაურს ამბებს ატყობინებს ხსენებულ გაზეთის რედაქციას, იქნება არც-კი გაემჟღავნებინა, რომ საზოგადოების სურვილი იყო გარდეახადნა წირვის შემდეგ პანაშვიდი 11 სექტემბრის სახსოვრად, მაზრის უფროსმა უარი გვითხრა პანაშვიდზედ. გუბერნატორთან ტელეგრამის პასუხად ვიცე-გუბერნატორი

ფელეტონი

ხალხის ცხოვრებიდგან.

III *)

— მახარობელი ვარ, ღმერთი შენ-ყენ არი!—მოსხლეტით უთხრა მარეხიმ სათონეში მინდვრიდგან ახლად მოსულ გაიოზს.

— როგორ, რას მიმახარობლებ?—მოუთმენლად ჰკითხა გაიოზმა, სახეზედ ვარდის ფერმა გადაჰკრა, გულმა ძალზედ ძგარა-ძგური დაუწყო და სმენად გარდაიქცა სუნთქვა შეწყვეტილი.

— გუშინდელი დღე შენ ქებაში იყვნენ თიკოცა და იმი დედა პელაგიაც: გაგიჟებულ ალაზნიდგან ეგრე-ეგრე ორი ადამიანი დაიხსნა და მთელი მილეთის ხალხი გაასაოცრა ჯომარდული ვაჟკაცობითო. თიკომ კიდე ვინ მოჰთვლის რეები არ მოაყოლა: იგრე ისახელა თავი, რო ზღვისოდენა ხალხი სულ გაიოზს უყურებდა, აქებდა და ადიდებდა, და თანაც ვაცნევდი შენი სივაჟკაცე იგრე უხაროდა გულში, როგორც მზის ჩასვლა ახალ პატარძალს და პატარძალის მორცხვობის სიწითლე—ნეფეს.

— ო, ღმერთო!.. უნებურად ამოსწყდა გაიოზს გულის სიღრმიდგან, რადგანაც მარეხის სიტყვა ძალიან იამა და ეიმედა.

— მინდოდა მეთქვა: ქალბატონო, აკი ერთხელ კინალამ არ ჩამაქვავე გაკაპასებულმა: „გაიოზი ვინა გდია, რო იმი მაჭანკლად მაჰბძანებულხარო“, მაგრამ დედა იქა ჰყავდა.

— მაშ ცალკე არა გითქვამს-რა?—ხმის კანკალით და გულის ფანცქალით შეეკითხა გაიოზი.

— გაიოზს უთქვამ: აქ აღარ დავდგები, ქალაქს უნდა წავიდეო, ჯერ ეს ვუთხარ, და ამ სიტყვაზედ ერთი იგეთმა ყვითელმა ვარაყინმა გადაჰკრა ი მშვენიერ სახეზედ, იტყვი სამარიდგან ამოუღიათო. მაშინ-კი ვთქვი ჩემ გუნებაში: ჰააა! შაგიტყე, ქალაიავ, შაგიტყე, შენგან დაწუნებული გაიოზის სიყვარული შაგპარვია და მაისის დილასავით გაღაღანებულმა მარტის საღამოსავით იმიტო მაიქუშე-მეთქი. უნდა დამეწყო შენზედ ლაპარაკი—და ის იყო კიდეც თავის მამა ზაქარიამ დაუძახა. გულ-ასწრაფებით საქმე წახდება. საფერის დროს ვიხელთებ, დამაცადე.

—აბა შენ იცი, შენ იცი, როგორც იმოციქულებ, ჩემო დედადნაფიცო მარეხი, და რა ვიცი, რასა მთხოვ: გინდა, დადაგულ გულს გამოვიჭრი და მწვადად შეგიწვავ, გინდა, ჭირს მოგჭამ, თავს შემოგევლები და წამლათ დაგედები, გინდა, შენი ფეხთა-მტვერი ყმა გავხდები საუკუნოდ და შენსავე სანთელ-საკმლად დავიწვები საქაო-საიქიოს, გინდა...

— კარგი, კარგი, ასი წლის მაჭანკალს ხვეწნა-დარიგება აღარ უნდა. შენ მე გამიგონებდე-ყე როგორც დაგარიგო, და თუნდა ორთ-ხელმწიფის ქალზედ დაგაგვირგვინებ,—დააიმედა მარეხომ და მერე რაღაცას ჩაელაპარაკებოდა ყურში გაიოზს, რომელიც საამური ღიმილით ისმენდა საიდუმლოს.

— წა, მე მაინც იმედი არა მაქვ. აგე შარშანაც რა ლანძღვა-გინება შამამითვალა თიკომ: შენ ვინა ჰგდიხარო, რო მე შენ შაგირთაო,—ნაღვლიანად წარმოსთქვა გაიოზმა.

—ეჰ!.. ნეტა მამკლა და იმედდაკარგული ადამიანი-კი არ მიჩვენა. გაიგონე, გაიოზ: თუ შენი თავისათვის კარგი გინდა, იგრევ თავანდებურად იმედით სავსე ვაჟკაცი იყავ ყველაში და გულს ნურაჰ დროს ნუ გაიტეხავ თიკოს ადრინდელ შამონათვალზედ. რა ვუყოთ, ქალიჰ საქმე—განაზება და უარია, ეს ჩემ თავვზედა გამამიცდია ქალობაში, მაგრამ ვინც უარი გითხრას, იმედი იმისაგანა გქონდესო. ამი მთქმელი უფრო ჭკვიანი და გამოცდილი ყოფილა.

— ეგ მეც გამიგონია, მაგრამ გული სუ სხვას მეუბნება: თიკოს თავადიშვილიც-კი ეტოტინება საქმროდ და იქამდინ არ გაგიჟდება, რომ ვილაცა მოჯამაგირეს ცოლად გამოგყვესო.

— ეგ ტყუილი ფიქრია, შვილო. ქალს ვინც უყვარს—იმისი თავადიც ის არი, ხემწიფეც, ღმერთიც და სამოთხეც. და ვინც ქალს არ უყვარს, თავადი-კი არა, მთელი ცა-ქვეყნის მეფეების მეფეც რო იყოს, მაინც იმ ქალისათვინ სიკვდილი და ჯოჯოხეთი იქნება იმითანა მეფის მკლავზედ წოლაც-კი. ამისთანებისა შენ მე მკითხე, ჯერ შენ რა იცი: ქათამივით ორი ფეხი გაბია. ერთი წისქვილის ყელში არ გამამივლია, თორემ ამ დროულ ადამიანს სხვა სუყველა გამომიცდი-გამიგია და მამიხილებია ამ წყეულ წუთი-სოფელში.

— საქმეც ეგ არი, რო არ უყვარვარ თიკოს-და.

— იჰ! კაცები სუ ემაგეთი წინდაუხედავი სულ-წასულები ხართ: თვალის დახამხამების უმალ გინდათ, რო ქალმა შაგიყვაროთ, მაშინვე გულში ჩაგეკრათ და იმავ წუთას დაგნებდეთ ლობიო შაჭამანდივით! არა, შვილო, როგორც ერთისა და ორის ფეხის გადადგმით ქალაქს ვერ ჩახვალ და ერთისა და ორის თოფი სროლით ციხე ქალაქს ვერ აიღებ, იგრეც ერთისა და ორი თქმით ქალის გულს ვერ მაინადირებ, მინამ უანგარიშო ხვეწნა-მუდარით ყელში სისხლს არ მაჰგვრი. აკი ვამობ: მეც ვიყავ ერთხელ ქალი და მე უფრო კარგა ვიცი ქალის გუნება.

— ეე, მარეხო, მარეხო! სამი წელიწადია ძალზედ ვიტანჯები თიკოს სიყვარულით და შენ-კი ამობ: თვალის დახამხების უმალ გინდა შეგიყვაროსო.

— ჰო-და, შენ გიშველა ღმერთმა, აკი მეც მაგას გეუბნები: ემაგრე ძნელია ქალის გულის მონადირება-მეთქი. ეგე მაგთენი ხანი იტანჯები და თიკოსაც ემაგიტო შეჰპარვია გულში შენი სიყვარულის ნაპერწკალი; ი ნაპერწკალი თანდითან გაუღუვდება, გაუღუვდება, ექცევა ვეებართელა ცეცხლათ და მერე ფიქრი აღარაღი: შენი ყურ-მოჭრილი მონა გახდება და შენი სიყვარულის ჟინიანი სურვილი მაჰკლავს და გააგიჟებს მინამ შენ მკლავზედ წოლა ეღირსება.

— ეჰ, თიკოს ხო თავიდღეშიაც ემაგრე გული არ გემეცვლება, რო მე შამიყვაროს.

— ურიავ, ღმერთს ნუ ჰფიცავ—და არა, ღმერთის მადლმაო! გაიოზ, გული ნუ გაგტეხია-მეთქი, და ეს-კი სუ იმედ გაწყვეტილი მელაპარაკება. ეგ იმედი მქონდა შენი ვაჟკაცობიდგან! კაცო, შვილო, ძმაო, გაიგონე, შენ შენი ღმერთი: ადამიანი ქვა ხო არაღი—სუ ერთ ღონეზედ დარჩეს უცვლელად, იგეთი აღარა ვარ, როგორიც ვიყავ, და აგეთი აღარ ვიქნები, როგორიც ეხლა ვარ. ხორციელი ადამიანის გული მარტის დღესავით იცვლება, წამ-და-უწუმ. გაივლის დრო-ხანი—და თიკოსაც უფრო გული გამაეცვლება, უფრო შენი სიყვარული არაყივით მიეკიდება თან-და-თან და ბოლოს იგრეც დაითვრება იმით, რო, ი ერთი ანდაზისა არ იყოს: შუაღამემდის ქმარი ეხვეწებოდა, შუაღამეს იქით ცოლიო, იქნება ერთ დროს თითონვე გეხვეწებოდეს: ვკვდები, ღმერთი არა გაქვ, გამიტაცე და ჯვარი დავიწეროთო.

— ოოხ! მარეხო, თუ-კი მაგ დღეს შევესწრობი, მაშინ რაღა მამკლავს!..

— შეესწრობი, შვილო შეესწრობი, შენ ოღონდ სუყველა ვაჟკაცურად მაითმინე თავი დრომდინ. ნეტავი მომთმინოსა, ვაი მოუთმენარსაო. ყველა ჭირის წამალი მოთმინებაა. მოვა დრო და ღმერთი შენყენაც გადმაიხედავს, ვენაცვალე იმი დიდებულებას. როგორც ადამიანს სიკვდილი და გამიწება არ ასცდება, იგრეც შენ თიკო არ გაგცდება, თუ ცოცხალი ვარ,—ასე გაამხნევა და გული მოუმაგრა გაიოზს მარეხიმ და კიდევ დაუწყო ყურში ჩურჩული.

---

*) იხ. „ივერია“, № 156.

იწერებოდა: პანაშვიდი თავად-აზნაურთა წინამძღოლის პროგრამით ტფილისშია დანიშნულია და ვისაცა სურს აქ ჩამოვიდესო, პანაშვიდი კრწანისის მინდორზედ მამულისათვის თავშეწირულთა· მოსახსენებლად; გაზეთი-კი 208 №-ის დღიურში ამბობს: „ჩვენ გვატყობინებენ თელავიდამ, რომ 11 ს სექტემბერს, რა დღესაც ასი წელიწადი სრულდება კრწანისის ომისა, საქალაქო ბაღში, გარდახდილ იქმნა პანაშვიდი, რომელსაც დაესწრნენ მრავალნი ახლო-მახლო სოფლებიდან მოსულნი.“ როგორც კორესპონდენტი არა ყოფილა იმ დღეს მთვარეზე, ისე იმ ბაღში არავითარი პანაშვიდი არა ყოფილა, ხოლო რადგანაც ოფიცილურად ვერ იქმნა გადახდილი პანაშვიდი დამოუკიდებელ მიზეზისა გამო, კერძოდ აწირვინეს და გადიხადეს პანაშვიდი იმ ეკკლესიაში, სადაც ესვენა გარდაცვალებულის ერეკლეს გვამი თითქმის ორმოცი დღე, ვიდრე ცხეთას წაასვენებდნენ.

◆◆

შეცდომის გასწორება.

„ივერიის“ მე 200 №-ში „განდეგილის“ ლექსში 19 სტრიქონში, შეცდომით არის: ტრფობის დრონად“, უნდა იყოს: „ტრფობის დროშად“.

—

გუშინდელს №-ში მეოთხე გვერდზედ „თეატრის მატიანეში“ შეცდომით არის სიტყვა თელავი თავში დასმული; იგი პირველ რეცენზიის ქვეით უნდა იყოს. ოპერა წარმოდგენილია ტფილისში.

◆◆

კორესპონდენცია.

დ. სურამი. ავდრებმა დიდად შეგვაწუხეს.აგერ ერთი კვირაა,რაც განუწყვეტლივ სწვიმს და გულს გვიწვრილებს.რა ჰქნას საწყალმა აქაურმა გლეხკაცობამ! ჯერ ნახევარი ყანაც არ გაულეწიათ და მოჭრილი სიმინდი-კი მინდვრებში ლპება. გულ-გახეთქილებს დაუკრებიათ გულზე ხელები და უნუგეშოთ შესცქერიან ცას. სიზაფხულოთ მოსული ხალხიც გაიკრიბა, დაცალიერდა და დაღონდა სურამიც, შესწყდა მუსიკისა და დოლის ხმა.

რამდენიმე სიტყვაც აქაურ სკოლაზე. სურამში არსებობს ერთი-კლასიანი სკოლა, მაგრამ ვაი ამისთანა არსებობას! შარშანდლამდის ეს სკოლა წარმოადგენდა სულთა-მბრძოლს ავადმყოფს და თუ სული არ დალია, ეს ახალის სასწავლებლის ბრალია, რომელმაც თვისის გულ-შემატკივრობითა და ცდით სწორე გზაზე დააყენა, მაგრამ რა ჰქნას ერთმა კაცმა, როცა არავისგან ხედავს თანაგრძნობასა და შველას; ესეც რომ არ იყოს, რა ენერგია და სურვილი შრომისა უნდა შერჩეს კაცს, როცა 6 და 7 თვეობით ზის უჯამაგიროთ და შესცქერის პატონ მამასახლისს, რომ ეს უკანასკნელი როდის ინებებს და შეიტანს სასკოლო ფულს იქ, სასად ჯერ არს. მიკვირს და გამკვირეია! ნუ თუ დაბა სურამს, რომელსაც 200 თუმანზე მეტი ნაღდი ფული აქვს შემოსავალი წელიწადში, არ შეუძლიან რიგზედ შეინახოს მხოლოდ ერთ-კლასიანი სკოლა!? სად მიდის ეს ფული, რაში იხარჯება?. გზები ჩვენ არა გვაქვს,ხეირიანი ხიდები, ზაფხულში მტვერი გვარჩობს გაზაფხულ-შემოდგომაზე ტალახები. მიგრამ ჰო, აი სად მიდის ეს ფული: გუშინ-წინ აქაურმა ბოქაულმა გამოუცხადა ხალხს, რომ წინანდელ მამასახლისს ტერ-ზახაროვს დაედო საზოგადოების ფული 1224 მანეთიო, ამ ფულიდგან სკოლის ფული არის 500 მანეთი, და რას იტყვით ვაპატიოთ, თუ გადავახდევინოთო? თურმე, ნუ ბრძანეთ, სურამში ერთი მამასახლისიც არ გამოცვლილა , რომ ამაზედ ნაკლები საზოგადო ფული არ დასდებოდეს და საზოგადოებას, აქაურ ბობოლების სომხების, წყალობით არ ეპატიებინოს მათთვის. ასე უნუგეშო მდგომარეობაში ვართ და არც მღვდელია ჩვენი მშველელი და არც ერი. არ შემიძლიან არ განვუზიარო მკითხველებს ამდენ ვარამთან ერთი სასიხარულო ამბავიც: ამ ზაფხულში დაარსდა სურამში სამკითხველო-წიგნთ-საცავი, რომელიც თუმცა ჯერ-ჯერობით ღარიბია, მაგრამ მტკიცე ნიადაგზედ დაყენებული დიდის სისწრაფით იძენს მკითხველ საზოგადოებას. ყოველ ჟამს სამკითხველო სავსეა ხალხით და 1 სექტემბრიდგან დღემდის (12 სექტ.) 140 წიგნია გატანილი და წაკითხული. დიდის ხალისით კითხულობენ წიგნებს აქაური სკოლის ბავშვები, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ვერ ვუსრულებთ ყველას კითხვის სურვილს, რადგან ძალიან ცოტა გვაქვს საყმაწვილო წიგნები.

მ. მ—ლი.

12 სექტემბერი, დ. სურამი.

◆◆

ბ-ნი გიორგაძე და მისი სკოლა.

ბ-ნი გიორგაძე სწერს: „ა. ერისთავი საქმეში ჩაუხედავია; უნდა დარწმუნებით გაეგო, საქმეს უნდა ჩაჰკვირებოდა და ჭეშმარიტება ეუწყებინა რედაქციისათვისაო.

ჩემს კორესპონდენციაში ითქვა, რომ სამრევლო სკოლას მეტი სარგებლობა შეუძლია ვიდრე საეროს, რომ ახლანდელ სკოლაში დამთავრებულნი ვერ აკმაყოფილებენ თანამედროვე ცოდნის მოთხოვნილებას. ითქვა საზოგადოდ საერო სკოლებზედ და კერძოდ ახალგორის სკოლას ამ მხრივ მე არ შევხებივარ. ამავე დასკვნას გამოიტანდა ბ-ნი გიორგაძეც თუ ინებებდა ჩვენის ლიტერატურის თვალ-ყურის დევნებას, რადგან საერო სკოლებზედ ბევრი თქმულა, ბევრი დაწერილა, ხოლო სამრევლო სკოლებზედ მოკლედ ყოფილა განმარტება სამოსწავლო გეგმისა სასულიერო მთავრობისაგან დადგენილი სკოლებისათვის და ნაჩვენები ხარისხი მისის გამოსადეგობისა. ამ განმარტებულ გეგმით ერთ-კლასიანი სამრევლო სკოლებისთვის საექსარხოსში დადგენილია სამის წლის კურსი, ერთი წლით უფრო გრძელი ვიდრე რუსეთში, სადაც ერთ-კლასიანი სამრევლო სკოლა შესდგება მხოლოდ ორის წლის კურსისაგან. ეს მესამე წლის მიმატება გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ რუსეთში მხოლოდ დედა-ენას ასწავლიან, ჩვენში სკოლის კურსი გართულებულია და გაძნელებული რუსულ ენის სავალდებულო სწავლებითა.

სავალდებულო საგნებათ გეგმაში დასახელებულია: საღრმთო სჯული, ქართული წერა-კითხვა, რუსული ენა, არითმეტიკა და საეკკლესიო გალობა. ყველა ამ საგნების სწავლება განწესებულია კურსის დაწყებიდგან მის გათავებამდე. გაკვეთილი დღეში ხუთია დანიშნული და თითოეული გაკვეთილი თითო საათს გასტანს. სწავლის ენად გეგმა აღიარებს ქართულს ორის წლის განმავლობაში, ხოლო მესამე წელიწადს—რუსულს ქართულის დახმარებით. რუსული ენა უნდა ისწავლებოდეს პირველის წლის იანვრიდგან ზეპირსიტყვაობით, ესრედ წოდებულ ლექსიური გაკვეთილების შუამავლობით მეორე წლიდგან კურსის ბოლომდე; გაკვეთილები საგნებ შორის ამ სახით არის განაწილებული: საღმრთო სჯულს აქვს დათმობილი პირველი გაკვეთილი ყოველ-დღე, ქართულ წერა-წითხვას მეორე და მესამე გაკვეთილები აგრეთვე ყოველ-დღე, რუსულს ენას მეოთხე გაკვეთილი. ხოლო მეხუთე გაკვეთილი ოთხ დღეს არითმეტიკას აქვს ნარგუნები და ორი გალობასა. ეს განაწილება საყურადღებოა. შედარებით საერო სკოლის გეგმასთან, განსხვავდება უმჯობესის ხარისხით, ე. ი. სამშობლო ენის სწავლება იწყება პირველში იანვრიდგან და მეორისა სექტებრიდგან, საერო გეგმაში გაკვეთილები არ არის განაწილებული საგანთა შორის და სამრევლოში-კი გარდა განაწილებისა რამდენჯერმე არის განმარტებული მეტად სამართლიანი და მიმზიდველი აზრი, რომლითაც საღმრთო სჯული დედა-ენაზედ უნდა ისწავლებოდეს მრთელის კურსის განმავლობაში პირველს, მეორესა და მესამე წელს.

რადგან ეს უპირატესობა აქვს დათმობილი ქართულ ენას, ბავშვი ადვილად ითვისებს ღრმა და რთულ აზრებს, რომელთა ჯეროვანი შეთვისება შეიძლება მხოლოდ იმ ენით, რომელსაც ბავშვი შეჩვეულია და-

---

ნება მიბოძეთ, ძვირფასო მკითხველო, მოკლედ გაგაცნოთ თიკოს მშობლები: პელაგია და ზაქარია, რომლებთანაც გაიოზი გახლდათ მოჯამაგირედ, ნუ შეგეფიქრებათ, ბატონო ჩემო, არ მოგაბეზრებთ თავს იმ არ-საჭირო წვრილმანების ჩამოთვლით: თუ რამდენი ჯამი იდვა იმათ თაროზედ, რამდენი წალო-განჯინა ჰქონდა სახლს, რამდენი ბუზი იჯდა კედლებზედ და სხვა ამისთანა ათასი წიკომაკო ჩიხომახოებით. მე მხოლოდ შეძლებისა-და-გვარად საქმის უმთავრეს ტოტებს აგიწერავთ საქმისავე ცხადად წირმოსადგენად.

ქვემო-ქიზიყის სოფელ მძინარეთში იყო ერთი დიდის დოვლათით გაძლიერებული და ხალხ-მრავალი ოჯახი გლეხთა ბატიაშვილებისა, რომელთა ცხვარ-ძროხა და ცხენის ჯოგი მინდორს „აბნელებდა“. ბატიაშვილები შვიდნი ძმანი იყვნენ, შვიდნივ შვილებითა და შვილის შვილებით სავსენი. იმათი დიდი თუ პატარა ოთხმოცამე სულს შეადგენდა და სამს მხარ-და მხარ ჩადგმულ ქვითკირის უწინდელ ზორბა დარბაზში სცხოვრობდნენ ძველებურად. სადილ-ვახშმობისას-კი ყველანი ერთ დარბაზში იკრიბებოდნენ და უფროს-უმცროსობის მიხედულობით ყველა თავის საკუთნო ალაგასა ჯდებოდა მიწაზე გაშლილ ნეჭა ნაბადზე. ამ ოჯახის კაცები ზოგნი ხვნა-თესვას მიზდევდნენ, ზოგნი სხვა-და-სხვა ოთხფეხის მოშენებას, ზოგნი ვენახების კეთებას და ზოგნიც ურმებით ქირაზე სიარულს. ეჭირათ კარგა ბლომა მოჯამაგირეებიც. შინაურ საოჯახო-სადედაკაცო საქმეებს-კი ოჯახის დედაკაცებივე აკეთებდნენ დღე და ღამე.

ამ რიგად ბატიაშვილებს მრავალი სიმდიდრე შეეძინათ თავიაანთ დაუცხრომელ გარჯა-შრომის წყალობით, მტკიცე-დაურღვეველ ძმობა-ერთობის ძალ-მადლით და მეტის-მეტი კრიჟანგულის ხელ-მომჭირნეობით:იმათ ოჯახში სახსნილოს და ღვინო-არაყს ვერავინ იგემებდა, ვიდრე დიდი საუფლო დღე არ დადგებოდა, და ან ისეთი რამ ჭირი და ლხინი არ ექნებოდათ. იმათი სახლის ეზო-ყურე თუ თარო-ჯამჭურჭელი ისე იყო უმცროს ქალ რძლებისაგან დაწმენდილ-დაკვარკვალებული—ახლად-მოჭრილ ვერცხლივით კრიალებდნენ მეტის სისუფთავით. თავიანთ ასოტანს, საცვლებს და ქვეშაგებს-კი ისე ბინძურად და უსუფთაოდ ინახავდნენ, რომ წლის-წლობამდის მთელ ღამეებს ფხაჭვნა-ქექვაში ატარებდნენ დიდნი თუ პატარანი. იმათ გაცხარებულ-ფხაჭვნა-ქექვაზე ძალზე ძილ-მოწყურებულ კაცსაც ძილი დაუფთხებოდა და იფიქრებდა ბნელაში: სწორედ აქ მუნიანი ცხვარ-ძროხა შემოუყრიათ და ისინი ექქებიან კედლებსა და ბოძებს ეგრე დაუცხრომლადო, ის-კი არა თუ ადამიანები ილადრებოდნენ მოუსვენრად დაძველებული ურმის უბეებიდამ შეკრულ ლოგინებზე. ასეთი ლოგინები თითო დარბაზს შვიდი–რვა ჰქონდა კედლის-ძირებზე შემორიგებული და ყველა ცოლ-ქმარი თითო ლოგინზე თავსდებოდა თავის წვრილ-ფეხა გოგობიჭებით.

მთელ ოჯახს ბატიაშვილებისას შუათანა ძმა ზაქარია ჰყვანდა ამორჩეული სახლის უფროსად. რაც-კი შინ და გარეთ მოჰხდებოდა: ალება თუ გალება, ავი თუ კარგი— ყველა ზაქარიასათვის უნდა ეცნობებინათ ჯერ, და მერე ისე მოქცეულიყვნენ, როგორც ის უბრძანებდათ. ზაქარიასვე აბარებდნენ წლის წლობამდის ცხვარ-მატყლის შემოსავალს, გაყიდულ ხარ-კამეჩის და ცხენებ ღორების ფასს, სულად ღვინოების ფულს, ურმების ქირას, გასესხებულ ფულის თავნ-სარგებელს და ბევრ სხვა წვრილმან შემოსავალს. ზაქარიავე ჰხარჯავდა წლის-წლობამდის ოჯახის ლხინშიაც და ჭირშიაც. ერთის სიტყვით, მთელი ოჯახის ქალი თუ კაცი ზაქარიას და მის მეუღლე პელაგიას რჩევა-ბრძანებას ემორჩილებოდა წარბ-შეუხრელად, ხმა-ამოუღებლივ.

მართალია ზაქარიას ორი თავიზე უფროსი ძმები ისევ ცოცხლები ჰყვანდნენ და თითონაც უწიგნო კაცი იყო იმათსავით, მაგრამ რადგანაც ზაქირიას მთავარ-დიაკვნის ქალი ჰყვანდა ცოლად და ცოლისაგან და ცოლის ნათესავებისაგან ცოტა-რამ გაეგო ქვეყნიერობისა, ამისათვის გაგებულ კაცს ეძახდნენ ზაქარიას და სახლის უფროსობაც იმას დაულოცეს. ზაქარია, როგორც ოჯახის უფროსი და „ნაჰწავლი“ ცოლის პატრონი, ცალკე ოთახში ცხოვრობდა თავისს ცოლ-შვილით, ყოველდღე ოჯახის ავ-კარგის შესახებ განკარგულებას აძლევდა და ათასში ერთხელ ტყე-მინდვრათაც მიდიოდა აუცილებელ საჭიროებისათვის.

ერთხელ მთელმა სოფელმა მოილაპარაკა: ,,მოდი, კაცებო, ე ჭკვაჰ ნუ ვნაყამთ, ზაქარ ბატიაშვილი ამოვირჩიოთ მამასახლისათ, ი კაცი ყველი გუდასავით გამძღარ-გატენილია დოვლათით და სხვა მშიერ მგლებივით აღარ დაგვიწყებს ჭამასო“. იმავ წლიწად ამოირჩიეს ზაქარია მამასახლისად და გახდა მთელი სოფლის უფროსიც.

გაიწურთნა ცხვარივით ულოდველი ზაქარიაც ვირეშმაკობაში და დაიწყო იმანაც თავისს ჯიბე-მუცლის ქეიფზე გასამართლება: უნდოდა— მტყუანს გაამართლებდა, უნდოდა— მართალს გამტყუნებდა, ვინა ჰყავდა თავ-გამოდებული მოდავე და კბილის გამომჩხრეკავი. სოფელს უძაღლოთ ჰხედავდა და ისიც უჯოხოთ დადიოდა არხეინად. ვისი ქისაც მძიმე იყო, სასწორი სიმართლისაც იმისაკენ იხრებოდა. დღე არ გაივლიდა, რომ ზაქარიას სამი და ოთხი ცამდე ალალ-მართალი არ ეტირებინა ცხარე ცრემლით და ამმი და ოთხივე იმათი დამჩაგრავი მავნე—ავზაკი არ ეხტუნებინა გამარჯვების სასიხარულო ნიშნ-მოგებით. ღმერთო! რამდენს ტანჯვა უსამართლობას იმენს ადამიანი ადამიანისაგან!.. უნებურად ამოწუხდებოდათ ეს სიტყვა გულის სიღრმიდამ და საცოდაობით გული ჩაგეთუთქებოდათ მის მნახველს, როცა სილატაკით დამწვარ-დადაგული რომელიმე ქვრივ-ოხერი ზაქარიას წინაშე იდგა სასოფლოზე თავის ლიპლიკანა გოგო-ბიჭებით და მწარედ მოსთქვამდა ცხარე ცრემლით: „ეგეთი უსამართლობა გაგიგონიათ და გინახავთ, ქრისტიანებო, რო უსაბაბო საბაზე ადამიანი მოკლან და ტიტლიკანა წვრილობლებს უკანასკნელი საბნიძველაც-კი გაუყიდონ ურიის სარგებლის-სარგებელის-სარგებელში?!“ მაგრამ ქვრივ-ოხრის გულ·საკლავ გოდება-ჩივილს და მის გვერდით ეტირებულ თავ-ფეხ-შიშველა ობლების საცოდაობას ყურსაც არავინ ათხოვებდა, გარდა უსულ-გულო გაუთლელი გზირებისა, რომლებიც უწყალო ხელის წაკვრით უყვიროდნენ ღრმად-დატანჯულ არსებას: „წადირავე აქედამ! შენ თუ მაჰკვდი, შენი ყველაყისამ, დიდი რამ დააკლდება ქვეყანას— არა!..“

დიახ, ასეთი გახლდათ ზაქარიას უსამართლო სამართალი: უცეცხლოდ დამწვარს ულმერთოდ ყელსა სჭრიდა მუდამ დღე თავის ჯიბე-მუცლის გულისათვის . მაგრამ არჩევნებზე მაინც კიდევ ზაქარიას ჰრჩებოდა მამასახლისობა , რადგანაც საზოგადოდ ყველა სოფელს სულ რამდენიმე ,,ნადირი‘‘ ათამაშებს თავისს ჭკუაზე მრავალი მიზეზების გამო, და ასეთი ნადირები გაყიფურული ძმაამფსონები და მცველ-მფარველნი იყვნენ ზაქარიისი. გარდა უანგარიშო ქრთამებ-ზღვენებისა, სოფლის ბეგარა-გარდასახადებიდამ მონარჩომები, მინდვრისა და სხვა ათასი წვრილმანი შემოსავალიც, ზაქარიასავე და მისი ამალა-ნადირების ჯიბე-მუცელში ჩადიოდა ყოველ-დღე სოფლის უპატრონობით და უკანტროლობით.

მიუხედავათ ყველა ამისა, მაინც ზაქარია ბევრით განირჩეოდა თავისს წინა-მოადგილეებთან, მაგალითად: ძველი მამასახლისები მხეცურის ძალმატანით აუნამუსებდნენ ღარიბ-გაჭირვებულების ლამაზ-ლამაზ მან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბადებიდგანვე და მის გამო ყოვლად უძლურია ენა, რომელსაც ბავშვი ახლად სწავლობს. მხოლოდ დედა ენას შეუძლია ჩაუნერგოს ბავშვს გონებასა და გულში სამღრთო ისტორია და კატეხისმო და გახადოს იგი ნამდვილი მოსწავლე. აქავე დავუმატებ ახალგორის მასწავლებლის და მღვდლის სკოლაში, როგორც ამბობენ, უცნაურის პროექტის შეტანას. აქ ხშირად მღდელი კისრულობს ქართულის ენის სწავლებას—მაშინ, როდესაც ვერ იცლის თავისი სპეციალურის საგნის გაკვეთილებისთვისაც-კი, რის გამოც საღმრთო ისტორიას სკოლა მოკლებულია ერთისა და ორის კვირით. ახლა შენ განსაჯე მკითხველო, თუ რა ვარსკვლავთ მრიცხველნი და მეცნიერნი უნდა გამოვიდნენ ახალგორის სკოლიდგან.

დავუბრუნდები გიორგაძის წერილს. იგი ბრძანებს: ,,ა. ერისთავი სკოლის ფულის გასავლის რაოდენობაში შემცდარიაო‘‘. გეგონებათ ამისი მთქმელი შეუმცდარი იქნებაო, მაგრამ თითონაც შესცდა. მე სკოლის საქმეში შეცდომა მომეტევება, რადგანაც დაახლოვებული არა ვარ ახალგორის სკოლასთან, როგორც მასწავლებელია და, რომ თვით მასწავლებელმა არ იცოდეს სკოლის გასავლის—შესავლის ჯამი და რომ წლიური დარჩენილი ფული 104 მან. და ოთხი აბაზია. და არა 64 მან. და ოთხი აბაზი.—ეს არაფერია. იმიტომ, რომ გიორგაძე მასწავლებელია და მასწავლებელი როგორ შესცდება! არ შესცდება ისე, როგორც მისი მოწაფენი, რომელნიც ,,ყოჩაღი მოვაჭრენი გამოდიან და არავითარი მტკნარი გამოფიტულობა, უვიცობა წერა-კითხვისა და ანგარიშისა მათ არ ეტყობათ‘‘. არ ეტყობათ იმიტომ, რომ ახალგორის ზოგიერთა ჩარჩ-მოვაჭრეების შვილები ნეტარ-ხსენებულ „იაგორ მარქარიჩის“ წყალობით უ. ბ-ნ გიორგაძეოთაც გაწვრთნილნი და გავარჯიშებულნი არიან სანისიო დავთრების წერაში და იმ ანგარიშშიაც, თუ როგორ უნდა ათი თუმნის თანხიდგან მცირე დროის განმავლობაში ორასი გახადონ და ამ შემდგარი თანხის სარგებელი წელიწადში თუმანი ათ შაურობაზედ რას შეადგენს—მიხვედრილნი არიან.

რაც შეეხება ბ-ნ გიორგაძის თხოვნას გავიხსენო, რომ ერთი მერცხლის ჭიკჭიკი გაზაფხულს ვერ მოასწავებს და ვუშუამდგომლო ვისმესთან სკოლის შენობას ერთი ნაჭერი ალაგი დაუთმონ—მოვახსენებ: დიდის სიამოვნებით, ხოლო, თუ გარდა დ. ი. *) ერისთავისა, ახალგორის მამულის მონაწილეთაგანებმა არ დაგვითმეს ადგილი—ერთი დესეტინა ახალგორის მამულიდგან მე მომირთმევია სკოლისათვის. მერცხლის ჭიკჭიკი-კი მარტო „ივერიის“ 186 ნომერმა მომასმენია.

ა. ერისთავი.

---

*) ამათ უარი უთხრეს ბ-ნ გაბელაშვილს, რომელიც ამ ორის წლის წინად გამგეობდა ახალგორის სკოლას და, რომლის დროსაც მიეწერება ახალგორის სკოლაში სწავლა-დამთავრებულის ერთის მოწაფის უმაღლეს სასწავლებელში გადასვლა, შემდეგ ამის მაგალითს აღარ შევხვედრივართ. სკოლის შენობის აგებაზედ ზრუნვაც გაბელაშვილს მიეწერება.

ავტ.

რუსეთის ცხოვრება.

—

ჩვენშიც, როგორც ინგლისში, მალე დანიშნულები ჯვარის დასაწერადაც-კი ეკკლესიაში ველოსიპედებით წავლენო, სწერს გაზ. ,,ნოვ. ვრემია‘‘. ერთი ინგლისელი კვდებოდა და ანდერძი დასტოვა, ველოსიპედით ან ჩამაყოლეთ საფლავშიო. უწინდელს დროში მხედარი, რომ მოკვდებოდა, ცხენსაც მასთან დამარხავდნენ ხოლმე; ეხლა-კი ველოსიპედსა მარხავენ მხედართან ერთად. მე მხოლოდ ის მაკვირვებსო, განაგრძობს გაზეთი, რომ ჩვენი ქალები ვერ გაიტაცა ველოსიპედმა. ჩვენში ველოსიპედისტები ჯერ კიდევ იშვიათია და თუ გამოჩნდა სადმე, დიდად გაუკვირდება ხოლმე საზოგადოებას. როდესაც ერთმა ქალბატონმა შუვალოვში ველოსიპედით გაიარა სადგურის პლატფორმაზედ, მას დიდ-ძალი ხალხი შემოეხვია. მისმა რკინის ცხენმა და თავისებურმა ტანისამოსმა დიდი ცნობის მოყვარეობა გამოიწვია. ჩვენი საზოგადოებაო, დასძენს გაზეთი, ხშირად ველურს ხალხს მოგვაგონებს ხოლმე,რომელთაც ყველაფერი უკვირთ და არაფრით კმაყოფილდებიან.

—

გაზეთების სიტყვით, სამიწათ-მოქმედო და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს განზრახვა აქვს თურმე ორი ახალი სამეურნეო სკოლა გახსნას. ერთი ყირიმში ჩრდილოეთით, მეორე შავის ზღვის ოლქში.

—

„გრაჟდანინი“ იუწყება, რომ სავსებით შემუშავებულ იქმნა პროექტი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დაედოს ბაჟი ყურძნისა და ხილეულობის ღვინოებსაო.

უცხოეთი

—

საფრანგეთი. გაზეთები ბევრსა სწერენ ამ ჟამად მადაგასკარზედ ბრძოლის შესახებ. საზოგადოების და გაზეთების ყურადღება მიიქცია გენერალ დიუშენის დეპეშამ, რომლით მადაგასკარის ექსპედიციის უფროსი იწერებოდა, რომ საფრანგეთის ჯარმა სასტიკად დაამარცხა ჰოვასელნი—მადაგასკარის მკვიდრნიო. დეპეშიდგან სჩანს, რომ უკანასკნელი ბრძოლა საფრანგეთის ჯარისა და 6 ათას ჰოვასელთა შორის ტანანარივას ახლოს ყოფილა; გენერალი იუწყება, რომ ის მალე აიღებს ტანანარივასაც (ჰოვასელთა სატახტო ქალაქი). ეს დეპეშა ამტკიცებსო, სწერს გაზეთი „ტან“, რომ ჰოვასელთ სრულიად არ ძალუძთ გაუჩერდნენ ჩვენს ჯარებსაო, მიუხედავად იმისა, რომ ჰოვასელთ ჯარიც მეტი ჰყავს ვიდრე ჩვენ და ადგილობრივი გარემოებაც ხელს უწყობს მათაო. მაგალითად „გოლუა“ წინასწარმეტყველობს, რომ საფრანგეთის ჯარს ტანანარივაში ისეთივე ბედი მოელის, როგორიც მოსკოვში ნაპოლეონს მოელოდაო. მკვიდრნი დასწვენ ტანანარივას, დაიწვევენ სამხრეთისაკენ და დაიწყებენ პარტიზანულ ომსა, რაც ჩვენ ძლიერ შორს წაგვიყვანს და ძვირადაც დაგვიჯდებაო.

—

ამ ჟამად პარისში იმყოფება ბელგიის მეფე ლეოპოლდი. მეფეს, როგორც ქალაქი ისე მთავრობაც ძლიერ კარგად მიეგება. მეფე იყო პრეზიდენტ ფორთან და გარეშე საქმეთა მინისტრ ჰანოტოსთან. ამ გარემოებამ ძლიერ აღელვა ლონდონის გაზეთები, როგორც იწერება „ნოვოე ვრ.“-ს კორესპონდენტი. საქმე იმაშია,რომ ბელგიის მეფეს აფრიკაში აქვს ვეებერთელა ტერრიტორია—კონგო; ამ უკანასკნელ დროს ბელგიაში აღიძრა ბაასი კონგოს შეერთებისა ბელგიასთან, მაგრამ ამ განზრახვის წინააღმდეგ ოპპოზიცია თანდათან მატულობს და მთავრობას დღემდის ვერ გარდუწყვეტია ეს საგანი. ბოლოს დროს ხმაც გავრცელდა, რომ, ლეოპოლდს განზრახვა აქვს სრულიად მოიშოროს კონგო და სხვას მიჰყიდოსო. ხოლო, რადგანაც ლეოპოლდი პარისს წავიდა და ფორიც და ჰანოტოც ინახულა, ინგლისის გაზეთები თითქმის დარწმუნდნენ, რომ ბელგიის მეფე აპირებს კონგო საფრანგეთს მიყიდოსო და, რასაკვირველია, შეწუხებულნი არიან.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან).

—

«ბერლინერ ტაგბლატტ»-ის ერთს თანამშრომელს ჰქონია ლაპარაკი გრაფ ლანსდელთან, რომელსაც ინგლისში ყოფნის დროს იმპერატორი ვილჰელმი ეწვია და რომელიც შემდეგში იმპერატორმა გერმანიის მანევრებზედ მიიწვია. პატივცემული ლორდი უკვე თავისს ბარგს ამზადებდა თურმე სამგზავროდ, რომ ამ დროს მივიდა მასთან კორესპონდენტი. ლორდმა სიამოვნებით განაცხადა სურვილი მისის ნახვისა და ყველა კითხვებზედ სრულს პასუხს აძლევდა; გერმანიის მხედრობა ძალიან

დილოსნებს, და ზაქარია-კი თავისს დღეშიაც არ იკადრებდა ძალდატანებას. ის მხოლოდ ლაქუცანა მოტკბო სიტყვით და ოსტატური ხერხით ისრულებდა ხოლმე თავისს გულის უნამუსო წადილს ისე ჩუმად, ისე დამალულად და დაფარულად, რომ გაქნილ-გაიძვერა ზაქარიას ყველანი ჭკვიან-დარბაისელს კაცს ეძახდნენ სოფელში და ბევრს დიდ ცოდვათაც მიაჩნდა, ვინც იმაზე ცუდს რასმე დაამთქნარებდა და ან იმას იტყოდა: გამოვცვალოთო. მის შინაგან გველაძუობას გარეგნული სამაცდურო აგებულებაც ხელს უწყობდა: წამოსადეგი, ზორბა მხარბეჭიანი, დინჯი წითური სახისა და დიდრონ თვალებ-ულვაშებიანი ზაქარია თავისს განუშორებელ ვერცხლის ქამარ-ხანჯალში, შავ ახალოხ ჩოხა-შალვარში და ბუხრის ქუდში ნამდვილი დარბაისელი ქართველი გეგონებოდათ ერთის შეხედვით, მეტადრე მაშინ, როდესაც ის ღრმად ჩაფიქრებული შუბლ-შეჭმუხვნილი ჩამომჯდარიყო სასოფლოს ძელ-დებულზე და ზედ აღარავის უყურებდა არც მოცინარს და არც მოტირალს, იმ დროს რომ ის დაგენახათ, დიდებულ შოთას ნათქვამს გაიფიქრებდით იმაზედ:

„ეს იქნება ბრძენი ვინმე,
მაღალი და მაღლად მხედი,
არცა ლხინი ლხინად უჩანს,
არცა ჭირი ზედან-ზედი,
ვით ზღაპარი ისე ესმის
უბედობა, თუნდა ბედი,
სხვაგან არის, სხვაგან ფრინავს,
გონება უძს ვითა მტრედი“,

მაგრამ გამოელაპარაკებოდით თუ არა—მაშინათვე იტყოდით გუნებაში. ვაიმე, ვაიმე, მოვსტყუვდი, ეს წმინდა წყლისა არ უნდა იყოსო, როცა ის გულ-მომხიბლავ, ლაქიურ სიტყვა-პასუხებს დაგიწყებდათ მომთინთლავის თავაზით და გაქლესილ მელასავით ხელში მოგიკვდებოდათ თვალთმაქცურად. „ტკბილი სიტყვა გველსაც ხვრელიდამ გამოიყვანსო და ალერსიანი ხბო ორ ფურსა სწოვდაო“, მალ-მალ იმეორებდა ზაქარია თავისს „ღრმა“ ფიქრებში ამ ფარისევლურ სწავლა-მოძღვრებას, და სრულის კმაყოფილებით გაიღიმებდა ხოლმე, როცა-კი ვისმე გულ-წრფელ, პირუთვნელს და მიუფერებელს უკუღმა დაეცერეშოდა რომელიმე საქმე თავისს უეშმაკობით.

ქვეყნის ცოდვის მჭამელ გაიძვერა-გაქნილებთან ლხინ-ქეიფმა ზაქარიას მთლად წაუხდინა კეთილ-ზნეობა და საძირკვლიანად შეურყია ყოველივე რწმენა ქრისტიანული, მაგალითად: ვიდრე ზაქარიას მამასახლისობას მისცემდნენ, ისეთი ღვთის შიში და ხათრი ჰქონდა, რომ დაგეხრჩოთ—ენის წვერსაც ვერ დაადებინებდით სახსნილოსათვის ოთხშაბათ-პარასკეობით, მოხელეობაში ზნე-წამხდარ კაცუნების ზედ-გავლენით-კი ისე მალე გაიტეხინა ღვთის შიშიც და ხათრიც—დიდ-მარხვაც ფეხებზე ეკიდა და ისე გაიბურთებოდა ხოლმე თურთუმელა ინდაურ-ქათმებით სამიკიტნოების საკუჭნაოებში, რომ ძლივსღა ქმინავდა დასიცხულ კამბეჩივით. დიაღ, უხასიათო განუვითარებელ ადამიანს ყოველთვის და ყოველგან ასე ემართება: რომელს ხალხშიაც მოტრიალდება, მალე იმ ხალხის ზნე-ჩვეულებას ითვისებს მის სიავ-კარგის განურჩევლად და განუსჯელად. ასე და ამგვარად ცხვარივით უცოდველი ყველაში და ყველასთან გულ-მართალი, ღარიბ-დაჩაგრულთა შემბრალებელი, ღვთის მოსავი და მოშიში ზაქარია მთლად გადაგვარდა ხასიათგაფუჭებული, ზნე-წამხდარ და გონება-დაცემულ კაცუნებში ტრიალით, და მთელი მისი გულ-გონება თვალგულ-გაუმაძღარ ეშმაკის განზრახვაფიქრებმა დაიჭირეს. იმ ხანებში ზაქარიას თავისი ცოლი პელაგია მოსვენებას არ აძლევდა: „ჩვენც ჩვენისთანაგე ოჯახების უფროსად ნამყოფებს მივხედოთ. და საბოლოვო რამ ვიზრუნოთ ჩვენთვინო“, და ათას რაღაცებს ჩასჩიჩინებდა ალქაჯივით დღე და ღამე მარტო ოთახში.

პელაგიაც ზაქარიას განაჭერი ვაშლი იყო ხასიათებით: ქცევა და სიტყვა ანგელოზისა ჰქონდა, გული და საქმე ეშმაკისა. გახელოვნებულ არტისტივით იცოდა ვისთან როგორ მოქცეულიყო, ვისთან მოეწვრილებინა და ვისთან მოემსხვილებინა ხმა, ვისთან გამოეჩინა გველური და მელური მიხვრა-მოხვრა, ან ვისთან გაქნილ-გაიძვერას საბოდიშო სიტყვასავით ემცბიერნა კუდის ქნევით, ვისთან მრისხანე ჭექა-ქუხილად გადაქცეულიყო და სხვა მრავალი ამითანები. ვინც იმას დაახლოვებით არ იცნობდა, ეშმაკების უფროსიც რომ ყოფილიყო—მაინც გააბრიყვებდა და თვალებს აუბამდა რაშიაც უნდოდა თავის სამაცდურო თითლიბაზური ოინბაზობით, იგეთ კუდიანი რამ იყო. როდესაც საჭიროება მოითხოვდა, პელაგიას სათვალთ-მაქცოდ დაშაქრული ენა უგრძნობელ ქვასაც გულს მოულბობდა ან მწივანა გველის შხამ-გესლად გადიქცეოდა და გულ-ჩვილ ანგელოზსაც ჯოჯოხეთის ულმობლობით გააქვავებდა. პელაგიას ასეთის ჯადოქარობით ალტაცებაში მოდიოდა ზაქარია და მოხვევნა-კოცნის ჟინით თვალებ-ათამაშებული ეტყოდა ხოლმე ღიმილით: «ჰაი, შენ-კი გენაცვალე, დედაკაცო, მა ღმერთში და გამჩენში, შენ ოჰხტში ხო ჯოჯოხეთის ანტიქრისტეც ვერ მოვაო“. პელაგია უფრო მამალი ინდოურივით იბერებოდა ასეთი ქება-დიდებით.

ხშირად, როგორც საზოგადოდ თითქმის ყველა მანდილოსნები, თავისს თვალში ძელსაც ვერა ჰხედავდა პელაგია, და სხვის თვალში ბეწვის დანახვაზედ კი ქვეყანას შეჰყრიდა და პაწაწინა რწყილს უზარმაზარ აქლემებს აშობინებდა თავის ჭორიკანა ენის ჭარტალობით; ან კი რისა დაეთავაზებოდა, როდესაც პატიოსნური ადამიანობა ჰკვა-გრძნობის ზნეობრივად განვითარებისაგან იბადება და ასეთი განვითარება კი ისე არ მოეპოებოდა პელაგიას, როგორც მგელს ნამუსი და მუტრუკს კრიტიკული ნიჭი. მეზობლის თუ თავის რძლების რამ კეთილი ხომ ისე ძალზე სძულდა, სწყინდა,ეჯავრებოდა დ ცეცხლათ ეკიდებოდა გულში, როგორც გონებადამახინჯებულ შურ-ღვარძლიანს ჭირივით ემკვლელება ამხანაგის მაღალნიჭიერი გონება,მზესავით ბრწყინვალე სული, დიდებული საქმე და უკვდავი სახელი. ყველა ამ „ხელისხელ საგოგმანებელ“ ღირსებებთან მრავალი სხვა უღირსებულობაცა ჰქონდა პელაგიას: ბეწვისოდენა რამ რო სწყენოდა ათვალწუნებულ მეზობლებისაგან თუ თავის რძლებისაგან—ვაი ქვასა და წყალს! ძირის პურივით აიტრიცებოდა, სიავსულის ალმური გადაედინებოდა სახეზე, საზარლად გაკაპასდებოდა და გაცოფებულის დორდლების ყრით მოჰყვებოდა გულგამეხებულ კისკისს. ძალიან იშვიათად წავიდოდა დღე, რომ პელაგიას მამაოჩვენოსავით არ გაემეორებინა და გაემესებინა ვიზედმე ასეთი რისხვია: „გლეხუჭანავ! ტუტრუცანავ! ტარაკუჭავ! ბრიყუცანავ! შენი ცალი და ყადარი ხო არა გგონივარ?! ი მეხი და მედგარი-კი ჩაგათხლიშე მა ქეცუნცარა თავში! მამა მთავარი მყვანდა, პაპა ღვდელი და ბიძაჩემი ტოლნაჩალიკის სეკლეტარი ყოფილა. დიახ! შენი ყადარი არ გეგონო. იგრე გაგიხდი მა წილმატლიან თავს—ბუზები გეხვეოდნენ“!.. ამისთანა ჭექა-ქუხილის დროს ისეთი საზარელი რამ იყო პელაგია, როგორც მეხი და მედგარი ცისა, მაშინ რომ იმისათვის დიეშალნა ვისმე: კარგი, კმარა სირცხვილია ქვეყნისაგანო—იქვე რწყილივით გაჰსრესავდა. ყველას ეშინოდა პელაგიასი და ხშირად ამბობდნენ სოფლის დედაკაცები იმაზედ: „უი, ტა-ტა-ტა! ღმერთმა ყველა ქრისტიანი დაიფაროს ი ჯოჯოხეთის ტარტაროზისაგან: გაჭენებულ ცხენოსანსაც გადმააგდებს და ტალახ-წუმპეში ამაჰსვრის თავით-ფეხამდინო“.

დ. მაჩხანელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსწონებოდა და მხოლოდ, როგორც ნამდვილი ინგლისელი, უკმაყოფილო დარჩა ცხენოსან ჯარისა. ინგლისელების აზრით, ინგლისელ ცხენოსან ჯარის უკეთესი არსად მოიძებნება.

ეს ლაპარაკი რომ დაასრულეს, კორესპონდენტმა ახლა იმპერატორის შესახებ გამოჰკითხა ლორდს თავისი აზრი:

ლორდი სწრაფად წამოდგა სავარძლიდგან და სთქვა: დიდის სიამოვნებით და დარწმუნებულიც იყავით, სრულიად უნაკლულოდ და მოუფერებლად გადმოგცემთ ჩემს აზრს; ხოლო მეძნელება, რომ ისე კარგად ვერ აგიწეროთ, როგორც საჭიროა. ვილჰელმ II უსაზღვროდ მაცვიფრებს და იქნება იმიტომ, რომ მე ბევრ სხვა მისს დაახლოვებულ და ქვეშევრდომზედ უკეთესად შევიტყე, თუ რა თვისებანი და რა ნიჭი აქვს მათს უდიდებულესობას. იმპერატორი ყველა მხრივ უთუოდ შესანიშნავი კაცია და ჩემს ნაცნობებში და მეგობრებში, რომელთაგანაც ზოგი ძალიან დიდი კაციც არის, ვერც ერთს ვერ შევადარებდი იმპერატორს. მე შემიძლიან წარმოვიდგინო, რომ ბისმარკი უეჭველად უფრო დიდი კაცია, მაგრამ თუ რომ იმპერატორის შედარებას მოვისურვებთ, ისევ მოლტკეს თუ შევადარებთო.

მისი ენერგია, ბეჯითი შეხედულება, სისწრაფე აზრისა რაიმე საგნის გარდაწყვეტის დროს, დაწვრილებითი ცოდნა ყველაფრისა, რაც-კი მას აინტერესებს, და აგრეთვე მეხსიერება, ისეთი უნაკლულო და სრული აქვს, როგორც შეჰფერის გენიოსს.

—

რეიტერის სააგენტოს აი რას აუწყებენ სტამბოლიდგან 22 (10) სექტემბრიდგან:

მაკედონიის გარნიზონი თან-და-თან ძლიერდება. წინა წლებში წლიურად ახალი ჯარის-კაცი სულ 45,000 იკრიბებოდა, ამ წელს-კი 76,000 შეჰკრიბეს, რომლიდგან 22,000 კაცი მაკედონიის მესამე კორპუსისათვის არის დანიშნული; საცხოვრებლად ამ კორპუსს მონასტერი მიუჩინეს.

პორტაშიაცა და სასახლეშიც საგანგებო გასაფრთხილებელი საშუალებანია მიღებული. ამისი მიზეზი გახდა ერთის შეთქმულობის აღმოჩენა, რომელსაც აზრად ჰქონია ილდიზ-კიოსკი და პორტა აეფეთქებინა.

სრუტეებში გავლის დროს ხომალდებს ძალიან აბრკოლებენ ოსმალეთის მთავრობის წარმომადგენელნი; ამის გამო დიდ სახელმწიფოთა ელჩებმა კოლლექტიური წინადადება წარუდგინეს ოსმალეთის მთავრობას.

◆

უცხოეთის წვრილი ამბები.

—

კაპიტანმა გინდმა კონგოს შესახებ შემდეგი ცნობები წარადგინა ლონდონის ერთს სწავლულთა კრებაზედ: კონგოს ნაპირებზედ მცხოვრებელნიო, სთქვა მან, ყველანი კაცის ხორცის მჭამელნი არიანო. ვაჭრობენ კაცის ხორცით ისე, როგორც სხვა საგნებით. მონებს ასუქებენ, რომ შემდეგ შაშხი გააკეთონ ან შესწვან. ყასბები საშინელს საშუალებასა ხმარობენ, რომ „ხორცს კაი გემო მიეცეს“; ისინი ჯერ ხელებსა და ფეხებს დაუმტვრევენ საწყალს თავიანთს მსხვერპლს, მერე ჩაუშვებენ თბილს წყალში და ასე სტოვებენ სამს დღეს. კონგოს ყველა ტომს ჩვეულებადა აქვთ მოხუცებისა და მახინჯების დახოცვა. შვილები სჭამენ თავიანთს მშობლებს. გინდი ამტკიცებს, რომ მისიონერები დიდის თავგამოდებით ებრძვიან ამ ბარბაროსულს ჩვეულებასაო.

—

საბერძნეთში ოლიმპის თამაშობა დაიწყება მომავლის წლის 5 აპრილიდამ 15 აპრილამდე. სავარჯიშო ადგილს დიდის გულმოდგინებით ამზადებენ. ამისათვის მიწვეულნი არიან გერმანიისა, საფრანგეთისა, ინგლისისა და ამერიკის საარხეოლოგო სკოლის ინსპექტორები. მუშაობის თვალ-ყურის სადევნებლად კომისიაა დანიშნული. რაც შეეხება ნივთიერს მხარეს, ეს განზრახვა უკვე უზრუნველ-ყოფილია. ერთმა ალექსანდრიელმა ბერძენმა 100,000 დრახმი შესწირა, მთავრობამაც დიდი დახმარება აღმოუჩინა. თვით საბერძნეთის მემკვიდრე კონსტანტინე საქმის მოთავეა; პრინცი გიორგი და ნიკოლოზიც დიდს მონაწილეობას იღებენ, ერთი სიტყვით, საქმე უეჭველად კარგად დაგვირგვინდება.

◆

ორიოდე სიტყვა პროფ. შუხარტის წიგნის შესახებ.

გრაცის უნივერსიტეტის პროფესორმა და ვენის სამეცნიერო აკადემიის წევრმა გუგო შუხარტმა, რომელიც უკვე რამდენიმე ხანია ქართულ ენის შესწავლასა და გამოკვლევას შეუდგა, გერმანულ ენაზედ დასტამბა ამ მოკლე ხანში პირველი თავისი გამოკვლევა ამ სათაურით: „Übed das Georgische“ (ქართულის ენის შესახებ“). თავისს გამოკვლევას პროფესორი შუხარტი უძღვნის პროფ. პ. მელიქიშვილს, რომელთან ერთად შუხარტი შარშან ზამთარში ქართულს ენას სწავლობდა; ეს ადგილი ქართულად არის დაწერილი ასე: ,,ნიშნად მადლობისა ვუძღვნი ჩემს საყვარელს მეგობარს პროფესორს პ. მელიქიშვილს‘‘.

წიგნის სამეცნიერო შინაარსის შესახებ რასმეს გვეტყვიან, —ალბად პროფ. ცაგარელი და ხახანაშვილი, ჩვენ-კი ვიტყვით მხოლოდ, რომ შუხარტმა თავისი გამოკვლევა საკუთრად ქართველებისთვის დასწერა, ,,რათა ჩააგონოს მათ, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ქართულს ენას და გამოიწვიოს ქართველი სწავლულნი, რომ მათაც აღმოუჩინონ დახმარება უცხოელ მეცნიერთ‘‘. ,,მე მსურს‘‘, ამბობს შუხარტი, ,,მივაქციო ყურადღება ქართულ ენის ზოგიერთ თვისებას, რომელნიც მეტად საყურადღებონი არან‘‘.

შუხარტი ძლიერ სწუხს, რომ აქამდის არ არსებობს კარგი ქართული გრამატიკა და უმთავრესად საყვედურს აცხადებს, რომ ქართულის ზმნის შესახებ არ დაწერილა საკმაოდ კარგი გამოკვლევა.

ბოლოს შუხარტი ამბობს: „რადგანაც „წიგნების გამომც. ქართ. ამხანაგობა“ ერთხელ უკვე გადასცდენია ხელოვნურ ნაწარმოებთა გამოცემას და დაუბეჭდია ასეთი წიგნი, როგორიც არის «სამზარეულო» (ალბად ლუარსაბ თათქარიძეებისათვის *) იმედი მაქვს ეს საზოგადოება უარს არ იტყვის და ევროპელ გასტრონომთ შემოგვძღვნის ქართულ ზმნათა კარგს გამოკვლევას. მართალია ამ კეთილის საქმისათვის ჯილდო ისე ჩქარა არავის მიეცემოდა და ოქროს არავინ ჩაიჩხრიალებდა ჯიბეში, მაგრამ ეს იქნებოდა პირველი საფეხური იმ კიბისა, საიდგანაც ოდესმე შესაძლებელი იქნებოდა დანახვა ქართველ ერის წარმომდინარეობისა“.

არ. ლეისტი.

ბათუმი, 15 სექტემბერი.

---

*) ეს და სხვა ადგილები ამ წიგნისა ამტკიცებენ, რომ პრ. შუხარტმა საკმაოდ კარგად იცის ქართული ლიტერატურა.

◆

თეატრის მატიანე.

თელავი, 17 სექტემბერი.

დღეს, 17 სექტემბერს, წარმოდგენილი იყო ქ-ნ საფაროვ-აბაშიძის მონაწილეობით „ხათაბალა“, კომ. 5 მოქმ. გრ. სუნდუკიანცისა. ქ-ნი საფაროვ-აბაშიძისა, რომელიც ყოველს მეცადინეობას ხმარობდა თვისის როლის საუკეთესოდ შესასრულებლად, მაინც ნატალიას როლში სუსტად გვეჩვენა საზოგადოდ, თუმცა ბევრი კარგი წამებიც ვიგემეთ მისის ხელოვნებისა. სამაგიეროდ, დღეს რომ სცენაზედ დედა ვნახეთ, მისი მზგავსი იშვიათად გვინახავს სადმე. ქ. მატარაძისა ამ მოკლე ხანში ორჯელ გამოვიდა დედის როლში და ორჯელვე საუკეთესოდ შეასრულა. დედა-შვილურის სიყვარულის სავსებით დახატვა ამაზედ მეტი აღარ შეიძლება. აქ, ვგონებ, ლომბროზოსი არ იყოს, ნიჭიერებას ეშველება ინსტიქტიური ლტოლვილება დედობისადმი, რომელ ლტოლვილებითაც უნდა გატაცებული იყოს ყოველი გასათხოვარი ქალი, თუ მისი ბუნება დამახინჯებული არ არის. ბ. აწყურელის ცოცხალმა თამაშობამ ისაიას როლში ბევრი გაფუჭებული ადგილი წარმოდგენისა მაყურებელთათვის შეუმჩნევლად დასტოვა. მისი მიხვრა-მოხვრა და სცენაზედ გაბატონ-კაცება დიდად მოსაწონია. ხოლო არ შეგვიძლიან კიდევ არ მოვაგონოთ, რომ ქართულში კოჭლობს. არ უნდა დაივიწყოს ბ. აწყურელმა და აგრეთვე მისმა ამხანაგებმა, რომ დრამატიული თხზულება პოეტური ქმნილებაა, რაშიაც „გრძელი სიტყვა მოკლედ არის ნათქვამი“, აზრი ისეთის ლექსთა თხზვით არის გამოთქმული, რომ ყოველნაირი მისი შეცვლა სიკეკლუცეს სიმახინჯედ გარდააქცევს. „ყველი და პურში ჰკვა ხომ არ ჩამიტანებია“ და ყველა ამისთანები ჩირქს სცხებენ თვით ენასაც და ხელოვნებასაც.

თავი და თავი როლები: გარასიმ იაკულიჩ ზამბახოვისა და გიორგი მასისიანცისა ბ.ბ. ჭელიძემ და მჭედლიშვილმა სუსტად შეასრულეს. ეტყობათ მათი მსახიობრივი ნიჭი ვერ ითვისებს ამისთანა როლებსა. მარგალიტა ზამბახოვის ქალისა და ხამფერას როლი ქ-ნ ანდრონიკაშვილისამ კარგად შეასრულა, განსაკუთრებით ხამფერას როლი. ჩვენ მსახურ „სარქისას როლში ვნახეთ ბ-ნი საფაროვი, რომელიც ამის მეტად მე არ მინახავს სცენაზედ და შეიძლება ამ ერთის ნახვითაც ითქვას, რომ მსახურის როლებში ბ-ნი საფაროვი ძალიან საუკეთესო მსახიობი იქნება.

ამ თვის 22-ს „პარიჟელი ბიჭი და „ბიძიასთან გამოხუმრება“ იქნება წარმოდგენილი, იმავე ქ. საფაროვ-აბაშიძის მონაწილეობით.

ჩვენ ერთი გვაკვირვებს, რატომ მონაწილეობას არ იღებენ ბ. გამყრელიძე და ქ. დიდებულიძისა, რომ ადგილისა და დროს შესაფერის პიესების წარმოდგენა შესაძლებელი ყოფილიყო!

ი.

◆

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

20 სექტემბერი.

მოსკოვი. პასტერის გარდაცვალების გამო მოსკოვის საექიმო დაწესებულებათ და უნივერსიტეტმა გაგზავნეს პარისს სამძიმრის დეპეშები. ზოგიერთ საზოგადოებათ დაუვალებიათ თვისნი წევრნი, რომელნიც ახლა პარისს იმყოფებიან, შეამკონ პასტერის კუბო გვირგვინებით. დასაფლავებაზედ დასასწრებლად წავლენ პარისს მოსკოვის დაწესებულებათა წარმომადგენელნი.

ხარკოვი. გამოცხადებულია პროგრამა ლექციებისა, რომელთ იკითხვენ ქალებისათვის ხარკოვის უნივერსიტეტის პროფესორები. ლექციების კითხვა დაიწყება ოქტომბრის დამდეგს.

პარისი. დიდმა მთავარმა კონსტანტინე კონსტანტინეს ძემ და საბერძნეთის მემკვიდრემ ნიკოლოზმა სორბონო დაათვალიერეს.

მინისტრმა ჰანოტომ გარდუხადა ვიზიტი 19 სექტემბერს თავ. ლობანოვ-როსტოვსკის.

მინისტრთა საბჭოში რიბომ გამოაცხადა, რომ პასტერის დასაფლავებას დაესწრება რესპუბლიკის პრეზიდენტი ფორი.

ჩიკაგო. მერის თავმჯდომარეობით შეიკრიბა მრავალ-ათასოვანი მიტინგები, რომელმაც გამოუცხადა თანაგრძნობა თვის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ კუბელთ და გაჰკიცხა ესპანელ მთავრობის სასტიკი მართვა-გამგეობა.

პეტერბურგის ბირჟა, 19 სექტემბერი

	მყიდველისა.	გამყიდველის.	გაყიდველისა.
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთ-მანეთიანი ოქრო	7,40	7,40	— „
5% მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად აზნაურო ბანკისა	— „	— „	$214\frac{1}{4}$
$4\frac{1}{2}$% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა	— „	— „	$99\frac{7}{8}$
6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურ. ბანკისა	101	— „	— „
5% იმავე ბანკისა	$99\frac{1}{2}$	— „	— „
6% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა	101	— „	— „
5% იმავე ბანკისა	$99\frac{1}{2}$	— „	— „
5% ობლიგაც. ტფილისს ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა	— „	— „	$98\frac{3}{4}$

„ივერიის“ ფოსტა.

ტემრუკ—ყუზანოვს. გაზეთი პირველ სექტემბრიდგან გეგზავნებათ.

◆

განცხადებანი

მეფე დავით აღმაშენებელი
და იმისი დრო
ისტორიული მონოგრაფია
ნ. ურბნელისა
ფასი ორი აბაზი

„წერა-კითხვის საზოგადოების“
წიგნის მაღაზიაში
ისყიდება შემდეგი წიგნები:
საქართველოს ისტორიისა და მწერლობის შესახებ.

	მან.	კაპ.
ქართლის ცხოვრება	8	„
იგივე ფრანგულად ნათარგმნი ბროსეს მიერ	8	20
საქართველოს ისტორია დ. ბაქრაძისა	1	›
საქართველოს ისტორია მ. ბროსესი	„	70
საქართველოს ისტორია მ. ჯანაშვილისა	„	70
მოსე ხონელი და მისი ამირან-დარეჯანიანი, მისივე		10
ისტორიული ნარკვევი ალ. ჰყონიასი	1	50
წმ. ნინოს ცხოვრების ახალი ვარიანტი ე. თაყაიშვილისა	„	40
სამი ისტორიული ქრონიკა მისივე	1	„
ქრონიკები თ. ჟორდანიას გამოცემულნი	3	„
საქართველოს გეოგრაფია ვახუშტი ბატონიშვილისა	3	30
სამცხე მისივე	„	25
ქართლი მისივე	„	25
მეფე დავით აღმაშენებელი ნ. ურბნელისა	„	40
მეფე გიორგი ბრწყინვალე, მისივე	„	20
ძეგლის დება (მეფე გიორგის სამართალი), მისივე	„	25
ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი, მისივე	„	50
თამარ მეფე დ. კარიჭაშვილისა	„	15
სვიმონ მეფე, მისივე	›	10
როსტომ მეფე, მისივე	„	10
Свѣдѣнія о памятникахъ грузинской письменности проф. А. Цагарели. I выпускъ	1	25
Ш вып.	1	50
О грамматической литературѣ грузинскаго языка, его-же	„	50
Грамоты и другіе документы XVШ ст., его-же	3	„
Очерки по исторіи грузинской словености А. Хаханова	2	„
Грузинскіе дворянскіе акты, его-же	›	60
Сигель грузинскаго Царя Баграта IV, Е. Такайшвили		60
Переписка грузинскихъ царей съ россійскими государями	3	„
Сношенія Россіи съ Кавказомъ. С. Бѣлокурова	3	„
Матеріалы для русской исторіи, его-же	3	
Путешествіе по Гуріи и Адчарѣ Д. Бакрадзе	2	50
Матеріалы для исторіи Кавказа. Буткова 3 т.	7	05

Дозволено цензурою, Тифлисъ 20-го Сентября 1895 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.